ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6937717

ნომერი: AR11022555

თარიღი : 11.03.2024

გაცემის თარიღი : 18.03.2024

გაცნობის თარიღი : 18.03.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 27ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იანეკ შიხიაშვილი პ/ნ 01011030924
- თბილისი განთიადის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 27 თებერვლის №6907758 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 11 მარტს №AR11022555 განცხადებით მომართა იანეკ შიხიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის

27 თებერვლის №6907758 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახური, 2024 წლის 27 თებერვლის №6907758 გადაწყვეტილებით დაეთანხმა ქ. თბილისში, ხოშარაულის ქუჩა №27ა-ში მდებარე №01.13.05.004.209 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობის ფასადზე I კლასის სამშენებლო სამუშაოების (შელესვა, შეღებვა) განხორციელების შესაძლებლობას.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 27 თებერვლის №6907758 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები არასრულად არის დაფიქსირებული. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.

სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2023 წლის 29 დეკემბრის №AR11008906 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.13.05.004.209 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობის ფასადზე I კლასის სამშენებლო სამუშაოების (შელესვა, შეღებვა) განხორციელების შესაძლებლობაზე თანხმობის მიღება. სამსახურის 2024 წლის 27 თებერვლის №6907758 გადაწყვეტილებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები არასრულად დაფიქსირდა. კერძოდ, სამღებრო სამუშაოებთან ერთად საჭიროა დაფიქსირდეს შელესვაც.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 27 თებერვლის №6907758 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 27 თებერვლის №6907758 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ხოშარაულის ქუჩა №27ა-ში მდებარე №01.13.05.004.209 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობის ფასადზე I კლასის სამშენებლო სამუშაოების (შელესვა, შეღებვა) განხორციელების შესაძლებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან №882024217002 - 26/02/2024 წ. საკადასტრო კოდი №01.13.05.004.209, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, ხოშარაულის ქუჩა №27ა-ში მდებარე №01.13.05.004.209 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობა-ნაგებობის ფასადზე I კლასის სამშენებლო სამუშაოების (შელესვა, შეღებვა) განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან) 1 წელი.“.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 27 თებერვლის №6907758 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 27 თებერვლის №6907758 გადაწყვეტილებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.